პროექტი

,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 25 დეკემბრის N4 სხდომის ოქმით) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) პერსონალისათვის სამუშაოს უსაფრთხო, დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოსა და ჯანსაღი პირობების შექმნას;“.

2. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პერსონალისათვის დაუშვებელია ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან პერსონალისა და თსუ-ს დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სად არის იგი ჩადენილი. აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება. დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება.“.

3. 26-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. მოქალაქეებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას პერსონალი ვალდებულია, დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის აკრძალვის წესი, გააცნოს საკუთარი თავი და დაკავებული თანამდებობა, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი.“.

4. 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს წინამდებარე შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, ასევე შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის სფეროში უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დადასტურებული დარღვევა. სექსუალური შევიწროების საქმეში სავარაუდო მსხვერპლის/შემვიწროებლის წარსული ან ამჟამინდელი სექსუალური/პირადი ცხოვრება არ ატარებს მტკიცებულებით მნიშვნელობას საქმის განხილვისას და არ წარმოადგენს სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის/არარსებობის პრეზუმირების საფუძველს.“.

5. 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. ,,სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას. სექსუალური შევიწროების საკითხთან დაკავშირებული საქმისწარმოება, კონფიდენციალურობის დაცვის განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის ფარგლებში.“.

6. 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, ასევე ქცევის წესების ამსახველი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დადასტურებული დარღვევა, რისთვისაც სტუდენტს დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით შესაძლოა გამოეცხადოს საყვედური, ან შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შინაარსის გათვალისწინებით. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება აისახება სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანებაში.“.

7. 30-ე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აგრეთვე, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგების მიმართ.“.